ხელშეკრულება № 137
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

12 ივლისი 2018 წ.

ს.ს. "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი" შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის შოთა გოგიჩაიშვილის სახით და სს „გუდვილი" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი ხაბაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. „მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. „მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი **ს.ს. "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი"**

მიმწოდებელი **სს „გუდვილი"**

მუხლი 1 გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში მომსახურებების გაწევა **CPV 15800000** - სხვადასხვა საკვები პროდუქტები; **15900000** - სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები **33700000** - პირადი ჰიგიენის საშუალებები; **39200000** - ავეჯის აქსესუარები; (კერძოდ: აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის კოორდინატორების ვიზიტის ფარგლებში შესვენებისათვის საჭირო სხვადასხვა პროდუქციის შეძენა დანართი №1-ის შესაბამისად.)

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2018 წლის 12 ივლისი.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი – ქ. თბილისი,

მუხლი 4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 326.47 (სამასოცდაექვსი ლარი და 47 თეთრი) ლარს.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით

5.2 დაფინანსების წყაროა: 2018 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

5.3 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.4 ანგარიშსწორების ადგილი - ქ. თბილისი.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

მუხლი 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული პრეტენზია, რის შემდეგ შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება გადაუხადოს შესაბამისი წუნდებული გაწეული მომსახურების ღირებულების გამოკლებით.

მუხლი 9. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

9.1 მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

გ) მიაწოდოს ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

12.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ"ქვეპუნქტი.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 12 ივლისიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის 13 აგვისტოსი.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი":
სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი"
ს/კ 212 153 756
მისამართი: ქ. თბილისი; ალ.ყაზბეგის №16
ბანკი: სს „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE29 TB71 4413 6020 1000 01
ტელ: 239 57 48; 2 39 84 04

აღმასრულებელი დირექტორი: შოთა გოგიჩაიშვილი

„მიმწოდებელი":
სს „გუდვილი"
ს/კ 206 343 991
ფაქტ/მის: ქ.თბილისი; დ/დიღომი, ფარნავაზ მეფის №1
ბანკი: სს "თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: № GE61 TB36 1533 6020 1000 04
ტელ: 2400002

გენერალური დირექტორი: გიორგი ხაბაშვილი

დანართი #1

	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	ფასი	რაოდენობა	თანხა დღგ-ს ჩათვლით
1	ასკილის წვენი ბიო/ორგანული (USDA ORGANIC) 0,3ლ მინის ბოთლებში.	ცალი	2,29	6	13,74
2	ასკილის წვენი უშაქრო 0,3ლ მინის ბოთლებში	ცალი	1,99	11	21,89
3	ალუბლის წვენი შაქრის დანამატის გარეშე 0,3ლ მინის ბოთლებში	ცალი	2,49	3	7,47
4	"სნო" - წყალი პეტი 0.5ლ	ცალი	0,39	36	14,04
5	მ/წ ლიკანი-0.6ლ პეტი	ცალი	0,79	24	18,96
6	„ვიჩენზი" პრემიუმ ნამცხვარი შოკოლადის ნატეხებით 80გრ	ცალი	7,99	4	31,96
7	ტ/ქ ზევა ულტრა სოფტ ექსკლუზივი *4ც*4ფენა	ცალი	5,70	1	5,70
8	SELPAK-პირსახოცი 6x4ც 3 ფენა (9671027),	ცალი	7,10	1	7,10
9	„ვიჩენზი" პრემიუმ შოკოლადის ნამცხვარი შოკოლადის ნატეხებით 158 გრ	ცალი	7,99	4	31,96
10	მერინგა	კგ	25,93	0,086	2,23
11	G&G-ნამცხვარი კარაქით	ცალი	8,99	1	8,99
12	Bahlsen ნამცხვარი ლაიბნიცი კარაქით 100 გრ	ცალი	3,49	4	13,96
13	Croco-მარილიანი ბრეცელი 300 გრ.	ცალი	3,19	3	9,57
14	პიკნიკი-ერთჯერადი თეთრი ჭიქები*10ც	ცალი	0,99	5	4,95
15	იაკობზ მონარქი 230+70 გ. ხსნადი ყავა	ცალი	20,29	1	20,29
16	"ვდახნავენიე"-კანფეტი	კგ	31,99	1,488	47,60
17	შოკოლადის კანფეტი - ტრუფალიე, 3 კგ/ყ	კგ	18,99	0,832	15,80
18	MEHMET EFENDI-თურქული ყავა 12*250	ცალი	16,49	1	16,49
19	პლასტმასის თეფში (17 სმ.) (50 ცალიანი)	ცალი	3,85	2	7,70
20	EDEKA -იტალიური ნამცხვარი	ცალი	11,49	1	11,49
21	„ვიჩენზი" ნუშის ნამცხვარი ამარეტო 12*200გ 0080	ცალი	6,79	1	6,79
22	ფროლინი ორცხობია მარცვლეულით 350	ცალი	7,79	1	7,79
				სულ:	326,47

„შემსყიდველი":
სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი

აღმასრულებელი დირექტორი: შოთა გოგიჩაიშვილი

„მიმწოდებელი":
შპს „გუდვილი"

გენერალური დირექტორი: გიორგი ხაბაშვილი